ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 4723279001**

თარიღი:**06/10/2023**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

დ. ჩოხატაური 26 სექტემბერი 2023 წელი

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე;

ესწრებოდნენ: მაია გიორგაძე, დავით გუდავაძე, მიხეილ თავართქილაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ნოდარ ცხომელიძე;

არ ესწრებოდნენ: დავით ტყეშელიაძე, ლაშა ირემაძე, ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე, ბაჩო ახალაძე;

მოწვეული:

მარიტა მგალობლიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

2. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, დავით გუდავაძემ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

2.ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი:

1. **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.**

მოისმინეს:

1. **მომხსენებელმა მარიტა მგალობლიშვილმა** კომისიის წევრებს დეტალურად მოახსენა რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ და გააცნო ძირითადი საკითხები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ პროექტს. აღნიშნა რომ საკითხზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება და წარმოდგენილი შენიშვნები მნიშვნელოვანია.

<u>აზრი გამოთქვა მარინე ბერაძემ და განმარტა:</u> <u>რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პაკეტი არის ძალიან მნიშვნელოვანი,ცვლილევებები ეხება საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებას, ასევე არის ტექნიკური ხასიათის შენიშვნებით. ვთხოვ კომისიის წევრებს დეტალურად შეისწავლონ წარმოდგენილი პროექტი და კომისიის მორიგ სხდომაზე წარმოადგინონ საკუთარი მოხსაზრებები.</u>

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი:

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

მოისმინეს:

მომხსენებელმა მარინე ბერაძემ განმარტა:

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონის საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბურგში , 2006 წლის მაისში წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“., რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწოროიბის V სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისთვის, რომლებიც მოწვეულნი არიან , ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალე ბისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამისთვის თითოეული ხელმომწერი მხარე პასუხისმგებელია შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისთვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და

არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისთვის, იმისათვის , რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არამარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში: პოლიტიკური, სოციალური და კულტურული.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული შტო, ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას, უთანასწორობის დასაძლევად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ჩოხატაურის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკრებულოს მხრიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონის საბჭოს (CEMR) მიწვევით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელით ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას.

შესაბამისად მერს ესაჭიროება საკრებულოს თანხმობა , რომ ხელი მოაწეროს შეთანხმებას.

<u>აზრი გამოთქვა</u> მაია გიორგაძემ და განმარტა: საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ქარტიაზე ხელმოწერით და შეერთებით მუნიციპალიტეტს შეუძლია სასარგებლო ბენეფიტების მიღება და მხარს ვუჭერ აღნიშნულ საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

მარინე ბერაძის მოხსენება, რომელმაც კომისიას გააცნო კომისიების მიერ წარმოდგენილი სამუშაო გეგმები .

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის IY კვარტლის სამუშაო გეგმა და გადაწყვიტა დასამტკიცებლად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად(თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი